6 ბურთი კუიბიშეველთა კარში

ფეხბურთის მოყვარულნი დიდი ინტერესით ელოდნენ მატჩს თბილისის "დინამოსა" და კუიბიშევის "კრილია სოვეტოვის" გუნდებს შორის. პირველივე წუთებიდან აშკარა იყო თბილისელთა ტაქტიკური სქემა: თავდასხმის ცენტრი ზაზროშვილი ღრმა ზურგში იყო დაწეული, იქვე მოქმედებდა ღორობერიძე, შეტევისათვის წინ იყვნენ გაყვანილი ორივე გარემარბი _ ჯოჯუა, გრამატიკოპულო და შუამარბი მახარაძე. კუიბიშეველების გამოცდილი ცენტრალური დამცველი მურზინი არ გაჰყვა ზაზროშვილს და ამჯობინა კარის წინა ზონის დაცვა, სადაც მას ნახევარდამცველი შირიაევიც ეხმარებოდა. ამის შედეგად მოედნის შუა ნაწილი თბილისელთა აბსოლუტური კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა, ორივე ძლიერი ნახევარდამცველი _ გაგუა და პანიუკოვი და ორიც უკანდახეული ფორვარდი საშუალებას არ აძლევდნენ სტუმრებს თავისუფლად ემოქმედათ. მათი ზონიდან განუწყვეტლივ მიდიოდა გრძელი გადაცემები წინ, მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე, მაგრამ გარემარბები ვერ ასწრებდნენ დროულად გასვლას, ხოლო მახარაძესთან მუდამ ორი დამცველი იყო. ამრიგად თბილისელები მოწინააღმდეგეს უცენტროდ უტევდნენ. თამაშის პირველი ნახევარი უშედეგოდ დამთავრდა.

მეორე ტაიმში ტემპი მოდუნდა და შეტევას დამამთავრებელი ფაზა აკლდა. პირველი თხუთმეტი წუთი ასეთ უსარგებლო იერიშებში გავიდა.

დინამოელებმა შეცვალეს ტაქტიკა. ზაზროშვილმა და მახარაძემ მკვეთრად წინ წაიწიეს და ორმაგი ცენტრი შექმნეს, ხოლო ჯოჯუამ უკან დაიხია. ის შორიდან იწყებდა იერიშს და ბურთს ძლიერად აწოდებდა წინ, კარისაკენ. აქ ორი დინამოელი ფორვარდი უკვე აშკარა საფრთხეს უქმნიდა მოწინააღმდეგეს. მე-18 წუთზე ჯოჯუა სწრაფად გაიჭრა წინ და ჩააწოდა ცენტში, მახარაძემ თავით მიიღო ბურთი და კუიბიშეველთა ბადეში გაგზავნა. ანგარიში გაიხსნა. სტუმრებმა ცენტრიდან დაიწყეს და მაშინვე თბილისელთა კართან გაჩნდნენ. მარღანიამ აკრობატული ნახტომით აიღო ბურთი და წინ გაგზავნა, აქ მახარაძემ "ვალი გადაიხადა". მიაწოდა ჯოჯუას და მან მეორედ აიძულა ვინოგრადოვი გამოეტანა ბურთი ბადიდან. დინამოელებს აშკარა უპირატესობა აქვთ. 29-ე წუთზე მახარაძე ბრწყინვალედ გადის რამდენიმე დამცველს შორის, ბურთს აწვდის ღოღობერიძეს, იგი ძლიერად ურტყამს და ანგარიშია 3:0. ჯოჯუა ზედიზედ არღვევს დაცვის ხაზს მარჯვენა ფრთიდან. მისი ნეიტრალიზაციისათვის კუიბიშეველებმა ნახევარდამცველი დასწიეს უკან, მაგრამ ამაოდ. 32-ე წუთზე ზაზროშვილი კვლავ ზრდის ანგარიშს _ 4:0. 41-ე წუთზე სტუმრების დამცველებმა უყურადღებოდ დასტოვეს ზაზროშვილი, რომელმაც კარგად გამოიყენა მომენტი და სწრაფად დაარტყა კარში. ვინოგრადოვს მეხუთე ბურთი გამოაქვს ბადიდან.

ჯოჯუამ მარცხენა ფრთაზე გადაინაცვლა. 43-ე წუთზე იგი შეუჩერებლივ გაიჭრა წინ, ორ დამცველთან ბრძოლაში გაიტანა ბურთი და ზუსტად მიაწოდა ზაზროშვილს. დინამოელების ცენტრმა მეექვსე ბურთით დააგვირგვინა ეს შეტევა.

თბილისის "დინამომ" მატჩი მოიგო ანგარიშით 6:0. ეს შეხვედრა თითქოს არ საჭიროებს კომენტარებს. მაგრამ ერთი მაინც უნდა აღინიშნოს: ეს გამარჯვება შედეგია იმისა, რომ ზაზროშვილი იმყოფებოდა იქ, სადაც იგი საერთოდ უნდა იყოს _ მოწინავე ხაზზე, კარის უშუალო იერიშის ზონაში. მ. ჯოჯუას გუნდში მოსვლამ საგრძნობლად შეცვალა თავდასხმის თამაში. ზაზროშვილსა და მახარაძესთან კონტაქტში მისი აგრესიული, ტემპიანი შეტევები ყოველთვის სასურველ შედეგს გამოიღებს.

ბ. ქორქია.

"ახალგაზრდა კომუნისტი", 28 ივნისი, 1949 წ.